ზუგდიდი

N 2300
15/09/2020

2300-02-4-202009151752

მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ[1]“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსის 2020 წლის 15 სექტემბრის №5620-02 მომართვისა და სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5642-02 მომართვის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია“ შემდეგი შემადგენლობით:

- გიორგი შენგელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი - უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე;
- კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე -უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ნინო სხულუხია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- გოგი რევია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- ლექსო თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

- მიხეილ ჭკადუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- ზამირა ღადუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- ია ეხვაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- მაგდალინა თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- ქეთევან ხუბუტია - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონული ცენტრის უფროსი, სოციალური მუშაკი - კომისიის წევრი;
- თეა ეხვაია - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- ინდირა ხვიჩავა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი - კომისიის წევრი;
- ლარისა შამუგია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამეგრელო ზემო-სვანეთის, აჭარისა და გურიის ტერიტორიული სამმართველოს სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- ლევან პაპავა - სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენელი სამეგრელოში - კომისიის წევრი;
- ხათუნა ბეჭვაია - რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარის“ თავმჯდომარე - კომისიის წევრი;
- თამარ ჩიქავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი, კომისიის მდივანი.

2. დამტკიცდეს თანდართული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, უწყებათაშორისი კომისიის“ დებულება.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს პროაქტიური წესით. ბრძანება დაეგზავნოს ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრულ უწყებებსა და ორგანიზაციებს.
4. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა განახორციელოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ;
5. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 54-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის

შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი

დანართი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, უწყებათაშორისი კომისიის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში - კომისია) იქმნება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

2. კომისია თავისი საქმიანობის გახორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და ამ დებულებით.

3. კომისია თანამშრომლობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოსა და საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან. პერიოდულად აწვდის მათ ინფორმაციას და რეკომენდაციებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, კოორდინაციას უწევს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს.

4. კომისია იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

5. კომისიის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. კომისიის მიზნები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და საქმიანობის პრინციპები

1. კომისიის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია და ხელშეწყობა.

2. კომისიის ფუნქციები და უფლებამოსილებებია:

ა) ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნობრივი პროგრამების განხორციელების კოორდინაცია და ხელშეწყობა;

ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პრევენციისა და სწრაფი რეაგირების ხელშეწყობა. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება, საბჭოს მიერ დაგეგმილი პროგრამების განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სოციალური - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და

სხვადასხვა პროგრამებში ჩართულობისთვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის მონაცემთა ბაზის შექმნისა და მისი პერიოდული განახლების ხელშეწყობა;

დ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, აღრიცხვისა, დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზების კოორდინაცია, საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;

ე) ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესაბამისი პროგრამების განხორციელების კოორდინაცია, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ვ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღება და შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდება;

ზ) ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ხელშესაწყობად დამსაქმებლებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, გაერთიანებებთან და დასაქმების კერძო სააგენტოებთან თანამშრომლობის განვითარების კოორდინაცია და ხელშეწყობა;

თ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურებიდან თავისი საქმიანობისთვის საჭირო კანონმდებლობით ნებადართული ინფორმაციის გამოთხოვა;

ი) კომპეტენციის ფარგლებში პარტნიორ, დონორ, საერთაშორისო, საქართველოს ან უცხო ქვეყნის შესაბამის ორგანიზაციებთან/დაწესებულებებთან/იურიდიულ პირებთან ურთიერთობის დამყარება (მათ შორის, ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება), ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია და ხელშეწყობა;

კ) კომისია ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე მოსახლეობასთან ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, თვითმმართველ ერთეულებში აქტიურად თანამშრომლობს მერის წარმომადგენლებთან, საინფორმაციო კამპანიებში მონაწილეობის, ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდების და პრევენციის მიზნით;

ლ) კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განცხადებების და წინადადებების განხილვა შესაბამის უწყებებთან და სამსახურებთან, გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა;

მ) ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გადაუდებელი დახმარების გაწევისა და დროებითი განსახლების ორგანიზების კოორდინაცია და ხელშეწყობა;

ნ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის (საქართველოს) ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართვიანობის შემთხვევების დაფიქსირება და ზუგდიდის მუნიციპალური (სახელმწიფო) მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

3. კომისია, დაკისრებული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისას, ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

ა) დისკრიმინაციის გამორიცხვა პირის სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკისა და პოლიტიკური შეხედულების მიხედვით (ამასთან, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი ღონისძიებები, გამიზნული იმ პირთა განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სქესის, ასაკის, ფიზიკური არასრულფასოვნების, ოჯახური ან/და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობენ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების გასაწევ პირებად);

ბ) ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;

გ) კონფიდენციალობა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და სრულყოფილი დაცვის უზრუნველყოფა;

დ) სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;

ე) კანონმდებლობის დაცვა და საქმიანობის საჯაროობა.

მუხლი 3. კომისიის მუშაობის ორგანიზება

1. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კომისიის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.

3. კომისიის სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს.

4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

5. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

7. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ მოიწვიოს და წარმართოს საკონსულტაციო და სამუშაო ჯგუფების სხდომა.

მუხლი 4. კომისიის სტრუქტურა

1. კომისია იქმნება და კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

2. კომისიის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტეტის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს დებულებით, სამოქმედო გეგმით და მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 5. კომისიის ხელმძღვანელობა

1. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე), რომელიც იმავდროულად არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი ან მოადგილე (შემდგომში - მერი ან მოადგილე) კომისიის შემადგენლობას უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თავმჯდომარე, მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, მოქმედებს და პასუხისმგებელია კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებაზე, მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობაზე.

მუხლი 6. კომისიის თავმჯდომარე

ა) ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას, იწვევს და უძღვება სხდომებს, წარმართავს და წყვეტს კომისიის საქმიანობას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) ამტკიცებს კომისიის სამუშაო განრიგს;

გ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესრულებაზე;

დ) ახორციელებს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, სამართლებრივ, მეთოდურ-საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ე) წარმოადგენს კომისიას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ან ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას;

ვ) უფლებამოსილია, სხვადასხვა უწყებებიდან მოიწვიოს სპეციალისტები ან/და დამოუკიდებელი ექსპერტები;

ზ) საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს კომისიის საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების რეგულირებისა და სრულყოფის შესახებ;

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, კომისიის დაუსრულებელი საქმეები დასასრულებლად გადაეცემა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს.

2. ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა შესაძლებელია კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.